საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09 / 03 2017 წ. თბილისი № 121

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების თანდართული სტრატეგია.

2. ბრძანება ამოქმედდეს სამინისტროს ვებგვერდზე (info.police.ge) მისი ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი გიორგი მღებრიშვილი

დანართი
დამტკიცებულია
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
2017 წლის 09. 03. №121 ბრძანებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგია

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებული კრიზისებისა და გამოწვევების გადაწყვეტა, გლობალური და რეგიონული წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, მათ შორის ბრძოლა მზარდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, შეუძლებელია მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გარეშე.

შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობის სანდო და მტკიცე პარტნიორისთვის, მეტად მნიშვნელოვანია თავისი ჯეროვანი წვლილის შეტანა აღნიშნული თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში, პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან როგორც ორმხრივი, ასევე რეგიონული და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატის მეშვეობით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო), სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უწყებაა როგორც გლობალური, ასევე რეგიონული გამოწვევებისა და წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაში. სამინისტრო საერთაშორისო ურთიერთობებს წარმართავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ინტერესების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საერთო საფრთხეებთან გამკლავების მიზნით მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან, მეორე მხრივ კი – რეფორმებზე ორიენტირებულ საერთაშორისო ურთიერთობებს სამინისტროში საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად.

ბოლო წლები მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, წარმატებული იყო საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის კუთხით როგორც მთლიანად ქვეყნისათვის, ასევე სამინისტროს საქმიანობისთვისაც. 2016 წლის ივლისში ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება. 2015 წელს წარმატებით შესრულდა ევროკავშირთან ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც პოზიტიურად აისახა ევროკომისიის ანგარიშში. სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია იყო კომპლექსური პროცესი, რომელშიც მონაწილეობდა ხელისუფლების ყველა რგოლი, მათ შორის სამინისტრო, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ორმხრივი თანამშრომლობა პარტნიორი ქვეყნების შესაბამის

უწყებებთან და აქტიურად შეუწყო ხელი სამოქმედო გეგმით გაწერილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება საქართველოს უკვე 27 პარტნიორ ქვეყანასთან (მათ შორის, 15 ევროკავშირის წევრი ქვეყანა) აქვს გაფორმებული. გრძელდება მუშაობა ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით. სამინისტროს მიერ პოლიციის ატაშეები წარგზავნილ იქნა 13 ქვეყანაში (მათ შორის, ევროკავშირის 8 ქვეყანა), რამაც საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა კიდევ უფრო ეფექტიანი გახადა.

სამინისტროსათვის ასევე უმნიშვნელოვანესია რეგიონული თანამშრომლობის განვითარება. ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ევროპის პოლიციის სამსახურთან (EUROPOL) თანამშრომლობა. 2016 წელს წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება აღნიშნულ სამსახურთან ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ტექსტთან დაკავშირებით, რომელსაც უახლოეს მომავალში მოეწერება ხელი.

მნიშვნელოვანი მიღწევებია ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხითაც. ნატო-საქართველოს თანამშრომლობის განმსაზღვრელ და ერთობლივი პროექტების განხორციელების მნიშვნელოვან ჩარჩო-დოკუმენტს წარმოადგენს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (NATO-Georgia Substantial Package). არსებითი პაკეტის ფარგლებში სამინისტრომ დაიწყო საზღვაო უსაფრთხოების პროექტის განხორციელება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება და ნატოსთან ურთიერთთავსებადობის ამაღლება.

1. საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიული მიზნები და მიმართულებები

სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს:

- ერთიანი, მდგრადი და კოორდინირებული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- სამართალდაცვით სფეროში სწრაფი, ეფექტიანი და ანალიზზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;
- საზღვრის მართვის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი განვითარება მეზობელ/პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან;
- საგანგებო და გადაუდებელი დახმარების კუთხით სწრაფი და შედეგზე ორიენტირებული საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;
- მიგრაციის მართვისა და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის კუთხით ანალიზზე დაფუძნებული და ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;
- ქართული მართვის მოწმობების ცნობადობისა და ურთიერთაღიარების პროცესის დაჩქარება პარტნიორ ქვეყნებთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;
- ერთი მხრივ, სამინისტროს აკადემიის შესაძლებლობების გაზრდა და საპოლიციო განათლების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომი განვითარება აკადემიის ბაზაზე რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის შექმნის გზით;
- პარტნიორი ქვეყნებისათვის სამინისტროს მიერ განხორციელებული წარმატებული რეფორმების გაზიარება და ექსპორტი;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით განხორციელებულ მისიებში სამინისტროს ჩართულობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სამინისტრო საერთაშორისო თანამშრომლობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით: საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება; ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება; ევროპული და რეგიონული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება; სამართალდაცვით სფეროში ოპერატიული თანამშრომლობის სწრაფი და ეფექტიანი კოორდინაციის განვითარება; არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის სწრაფი და ეფექტიანი კოორდინაციის განვითარება; ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია; დონორ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაღრმავება; სამინისტროში განხორციელებული წარმატებული რეფორმების ექსპორტი; საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით განხორციელებულ მისიებში სამინისტროს მონაწილეობა; საერთაშორისო ანგარიშვალდებულება.

2. საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება

სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ორმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებსა და ორგანოებთან საერთაშორისო ხელშეკრულებების ან/და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების გზით.

სამინისტრო გააგრძელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების ან/და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში/სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობა; უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიისა და უკანონო მიგრაციის საკითხებში თანამშრომლობა; საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობა; სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობა; საპოლიციო განათლების სფეროში თანამშრომლობა; მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში თანამშრომლობა.

ამასთან, განახლების მიზნით პერიოდულად განხორციელდება უკვე გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ან თანამშრომლობის მემორანდუმების გადახედვა, მათში სათანადო ცვლილებების შეტანა ან ახალი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან თანამშრომლობის მემორანდუმებით ჩანაცვლება.

სამინისტრო პერიოდულად განიხილავს გაერო-ს, ეუთო-ს, ევროპის საბჭოს, სუამ-ის, ბისეკი-ს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული იმ ახალი შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარების შესაძლებლობას, რომლებიც დაარეგულირებენ და განავითარებენ სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.

3. ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

სამინისტროსათვის უმნიშვნელოვანესია ორმხრივი თანამშრომლობის შენარჩუნება და მისი შემდგომი განვითარება პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა შესაბამის უწყებებთან სამინისტროს კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხებზე როგორც ოპერატიული, ასევე არაოპერატიული მიმართულებით. იგი ორმხრივ საერთაშორისო თანამშრომლობას წარმართავს საერთაშორისო ხელშეკრულებების, თანამშრომლობის მემორანდუმების ან „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ორმხრივი თანამშრომლობა განვითარდება შემდეგი ფორმით:

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან/და მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, ასევე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელთა მეთაურობით მაღალი დონის ორმხრივი საერთაშორისო შეხვედრებისა და ვიზიტების ორგანიზება, რომელთა ფარგლებშიც ხდება თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების განსაზღვრა;
- ორმხრივი სამუშაო ჯგუფების შექმნა და პერიოდულად შეხვედრების გამართვა სამინისტროს საგამოძიებო კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულთან ბრძოლის, საგანგებო სიტუაციების, გადაუდებელი დახმარების, საპოლიციო განათლების, მიგრაციისა და სახელმწიფო საზღვრის მართვის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე;
- პოლიციის ატაშეების არსებული ქსელის შემდგომი განვითარება და ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

სამინისტროსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ-ერთ უმთავრეს დონორსა და მხარდამჭერთან – აშშ-სთან – თანამშრომლობის განვითარება აშშ-ის შესაბამისი ორგანოებისა და პროგრამების მეშვეობით, საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში. სამინისტრო გააგრძელებს აშშ-ის მხარესთან ყოვლისმომცველ თანამშრომლობას როგორც ფედერალურ, ასევე შტატების დონეზე. ამასთან, განხილულ იქნება აშშ-ის სხვა შესაბამის უწყებებთან ან/და სტრუქტურებთან თანამშრომლობის დამყარება და მისი შემდგომი განვითარება.

სამინისტროსათვის პრიორიტეტულია აგრეთვე ევროპულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით გერმანიასთან (როგორც ფედერალურ, ასევე ფედერალური მიწების დონეზე), გაერთიანებულ სამეფოსთან, საფრანგეთთან, ესპანეთთან, იტალიასთან, ავსტრიასთან, შვედეთთან, პოლონეთთან, საბერძნეთთან, ბენილუქსის ქვეყნებთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან, ლიტვასთან, ლატვიასა და ესტონეთთან არსებული მაღალი დონის თანამშრომლობის შენარჩუნება და მისი შემდგომი განვითარება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ორმხრივი თანამშრომლობის შენარჩუნებას და მის შემდგომ განვითარებას საქართველოს მეზობელ, რეგიონის ან/და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან.

სამინისტროსათვის დიდ მნიშვნელობას იძენს ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება ახლო აღმოსავლეთისა და აზიის, ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნებთან.

4. ევროპული და რეგიონული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

ორმხრივი თანამშრომლობის პარალელურად სამინისტროსათვის პრიორიტეტულია საერთაშორისო თანამშრომლობის შენარჩუნება და განვითარება როგორც ოპერატიული, ასევე არაოპერატიული მიმართულებით ევროპულ და რეგიონულ ფორმატში, სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ ფორუმის ფარგლებში.

სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით სამინისტროსათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ევროპის პოლიციის სამსახურთან (EUROPOL) თანამშრომლობის განვითარება. აღნიშნული თანამშრომლობა დაეფუძნება „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმებას, რომლის ძალაში შესვლის შემდეგაც საქართველო გახდება EUROPOL-ის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა. EUROPOL-თან თანამშრომლობის განვითარების კუთხით სამინისტრო უზრუნველყოფს აღნიშნულ სამსახურთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული პროცედურებისა და ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

სამინისტროსათვის პრიორიტეტულია აგრეთვე ევროკავშირის სამართალდამცავთა ტრენინგის სააგენტოსთან (CEPOL) თანამშრომლობის განვითარება პოლიციის თანამშრომელთა უნარების ამაღლების, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის მიზნით, გაცვლითი პროგრამების განხორციელების, ასევე სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზების გზით.

მნიშვნელოვანია, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოსთან (FRONTEX) თანამშრომლობა ხორციელდებოდეს უწყების მიერ როგორც სტრატეგიულ, ასევე შესაბამისი დანაყოფების მიერ ოპერაციულ დონეზე. აღნიშნული კუთხით იგეგმება ხელშეკრულების განახლება, ერთობლივ ოპერაციებში სამინისტროს წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა და რისკის ანალიზის წარმოების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება.

სამინისტროსათვის აგრეთვე პრიორიტეტულია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია „სუამის", შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია „ბისეკისა" და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სამართალდამცავ ცენტრ „სელეკის" ფარგლებში არსებული თანამშრომლობის შენარჩუნება „სუამის" შესაბამის ქვეჯგუფებში, „ბისეკის" მეკავშირე ოფიცრების ქსელის შეხვედრებსა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფში, ამ ორგანიზაციების ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და სასწავლო კურსებში ან, საჭიროების შემთხვევაში, სუამ-ის ფარგლებში დაგეგმილ ერთობლივ ოპერაციებში მონაწილეობის გზით.

შესაძლებლობების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით სამინისტრო აქტიურად გააგრძელებს იმ რეგიონულ ასოციაციებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რომლებშიც სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები არიან გაწევრიანებული ან უახლოეს მომავალში გეგმავენ გაწევრიანებას. ესენია:

- კორუფციის წინააღმდეგ ევროპელი პარტნიორების გაერთიანება (EPAC);
- ევროპის საექსპერტო დაწესებულებათა კავშირი (ENFSI);
- ევროპის პოლიციის კოლეჯთა ასოციაცია (AEPC);
- პოლიციის აკადემიების საერთაშორისო ასოციაცია (INTERPA);
- ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნების სამხედრო სტატუსის მქონე ჟანდარმერიებისა და პოლიციური ძალების ასოციაცია (FIEP);
- საგზაო უსაფრთხოებისა და მძღოლთა შემოწმების საერთაშორისო ორგანიზაცია (CIECA);
- სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICDO);
- ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA);
- ევროპის საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომუნიკაციის ფორუმი (PSCE);

- საგანგებო სიტუაციების მართვის საერთაშორისო საზოგადოება (TIEMS);
- სახანძრო და სამაშველო სამსახურების საერთაშორისო ასოციაცია (CTIF).

სამინისტროსათვის პრიორიტეტულია მის სისტემაში შემავალი ერთეულების გაწევრიანება სხვა შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებსა და ასოციაციებში. გაწევრიანების შემდეგ იგი უზრუნველყოფს აღნიშნული ერთეულების აქტიურ მონაწილეობას ხსენებული ორგანიზაციებისა და ასოციაციების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, ასევე, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაც ხელს შეუწყობს სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებასა და განვითარებას, საუკეთესო პრაქტიკისა და რეფორმების გაზიარებას.

როგორც სამინისტროს, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე უკეთ წარმოჩენის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკის კვლევის, შემუშავებისა და განხორციელების კუთხით არსებულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ანალიტიკურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის დამყარება და გაღრმავება, რაც, თავის მხრივ, კარგ შესაძლებლობას მისცემს სამინისტროს, საერთაშორისო ასპარეზზე, ერთი მხრივ, პროაქტიულად წარმოაჩინოს როგორც ქვეყნის, ასევე უწყების წინაშე მდგარი გამოწვევები, პრობლემური საკითხები და დასახოს მათი ერთობლივად გადაჭრის გზები, ხოლო, მეორე მხრივ, პარტნიორებისთვის უკეთ იქნეს წარდგენილი სამინისტროს მიერ განხორციელებული წარმატებული რეფორმები და გამოცდილება.

5. სამართალდაცვით სფეროში ოპერატიული თანამშრომლობის სწრაფი და ეფექტიანი კოორდინაციის განვითარება

მნიშვნელოვანია, სამინისტროში განხორციელდეს ოპერატიულ-საერთაშორისო სამართალდაცვით თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი დანაყოფების ერთ დანაყოფად გაერთიანება, რაც გაზრდის კოორდინაციას, ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს მიღებული და დასამუშავებელი ინფორმაციის ანალიზს.

6. სამართალდაცვით სფეროში არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის სწრაფი და ეფექტიანი კოორდინაციის განვითარება

მნიშვნელოვანია განხორციელდეს სამინისტროს შესაბამის დანაყოფებში არსებული საერთაშორისო თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი ერთეულების კოორდინაცია და განვითარდეს არსებული მექანიზმები ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით.

7. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

7.1. ევროინტეგრაცია

ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მიზნით სამინისტრო უზრუნველყოფს შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულებას, კოორდინაციასა და ანგარიშგებას, ასევე ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციის და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

კერძოდ, სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ასოცირების შესახებ შეთანხმების შემდეგი მიმართულების განხორციელებას:

- პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა;
- თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში;
- თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება;
- თანამშრომლობის სხვა სფეროები.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობათა დიდი ნაწილი განეკუთვნებოდა სამინისტროს კომპეტენციას. მომდევნო წლების განმავლობაში სამინისტრო გააგრძელებს დაწყებული რეფორმების განხორციელებას მიღწეული პროგრესის შესანარჩუნებლად, ასევე პრიორიტეტული იქნება იმ სამოქმედო პაკეტის იმპლემენტაცია, რომელიც საქართველოს გადაეცემა თავისუფალი სავიზო რეჟიმის ამოქმედებისთანავე.

7.2. ნატოში ინტეგრაცია

ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაცია არის საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ასევე საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებისა და სტაბილური განვითარების წინაპირობა. სამინისტროსათვის მნიშვნელოვანია მისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ინსტრუმენტების გამოყენებით შესაბამისი პროექტების განხორციელება. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (NATO-Georgia Substantial Package) ფარგლებში სამინისტრო გადადგამს ნაბიჯს საზღვაო უსაფრთხოების პროექტის განსახორციელებლად, რომლის მიზანსაც სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება და ნატოსთან ურთიერთთავსებადობის ამაღლება წარმოადგენს.

სამინისტრო, როგორც ნატოს საზღვაო ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე უწყება, გააგრძელებს ნატოს საზღვაო ოპერაცია „ზღვის მცველის“ (Sea Guardian) მხარდაჭერას ინფორმაციის გაცვლის გზით, ნატოს საზღვაო სარდლობაში (MARCOM) მივლინებული მეკავშირე ოფიცრის მეშვეობით.

ასევე დაგეგმილია სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის კანონაღსრულების ორი ოცეულის ჩართვა ნატოს ოპერაციათა კონცეფციის შესაძლებლობების (OCC) პროცესში, რაც მათ საშუალებას მისცემს, მომზადებისა და შეფასების ოთხწლიანი ციკლის დასრულების შემდგომ მიიღონ ნატოს სერტიფიცირება და, საჭიროების შემთხვევაში – მონაწილეობა ნატოს საზღვაო ოპერაციებში.

სამინისტრო განაგრძობს წლიური სამოქმედო პროგრამითა (ANP) და დაგეგმვის და მიმოხილვის პროცესით (PARP) გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებასაც წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვისა და სასაზღვრო პოლიციის რეფორმა.

8. დონორ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაღრმავება

სამინისტრო, ერთი მხრივ, გააღრმავებს თანამშრომლობას არსებულ პარტნიორებთან, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს დონორული დაფინანსების მოზიდვას სხვა საერთაშორისო წყაროებიდან, რაც ხელს შეუწყობს სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების განვითარებასა და საერთაშორისო ჩარჩო-დოკუმენტებით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

ამ მიზნით გაგრძელდება სამინისტროს საჭიროებათა ანალიზი და მისი შედეგების საფუძველზე დაფინანსების მოზიდვის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს როგორც სამინისტროს ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლებას, ასევე თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებას.

9. სამინისტროში განხორციელებული წარმატებული რეფორმების ექსპორტი

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გარდა სამინისტროსათვის ასევე მნიშვნელოვანია სამინისტროში არსებული გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკისა და რეფორმების ექსპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში. აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეზობელ და რეგიონის, ასევე აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, ისევე როგორც დონორ ორგანიზაციებთან, თანამშრომლობას.

ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს სამინისტროს აკადემიის ბაზაზე რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის დაარსება, რომლის ფარგლებშიც მოხდება რეგიონის სამართალდამცავებისთვის ერთობლივი სასწავლო პროგრამების ორგანიზება. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის, მაგალითად, კონკრეტულ დანაშაულთან ბრძოლის, მიმართ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას, ასევე სამართალდამცავ უწყებებს შორის მნიშვნელოვანი კონტაქტების დამყარებას.

10. სამინისტროს მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით განხორციელებულ მისიებში

სამინისტროსათვის ერთ-ერთ ახალ და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა, რაც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს მის მიერ წვლილის შეტანას მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარების პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო მეტად დააახლოებს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებსა და ღირებულებებთან.

საქართველოს შეიარაღებული ძალები სამშვიდობო მისიებში 1999 წლიდან მონაწილეობენ, თუმცა სამოქალაქო და საპოლიციო მისიები როგორც ზოგადად ქვეყნისათვის, ისე სამინისტროსათვის ახალ გამოწვევას წარმოადგენს.

საერთაშორისო მისიებში სამინისტროს მონაწილეობა ხელს შეუწყობს:

- შესაბამის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან მეტ დაახლოებას და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის გაზრდას;
- პოლიციის ოფიცრების (პირადი შემადგენლობა) თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას და საერთაშორისო დონის ექსპერტთა ბაზის შექმნას.

ამ მიზნით სამინისტრო, ერთი მხრივ, კვლავაც განაგრძობს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას და ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობისათვის თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებას, მეორე მხრივ კი – აქტიურ მუშაობას გაეროს საპოლიციო მისიებში (UNPOL) პოლიციის ოფიცრების წარგზავნის მიზნით.

11. საერთაშორისო ანგარიშვალდებულება

სამინისტროსათვის კვლავ პრიორიტეტულია საერთაშორისო ანგარიშვალდებულება და შესაბამისად, სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააგრძელებს საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების თაობაზე პერიოდული ანგარიშების წარდგენას შესაბამის საერთაშორისო თუ რეგიონულ ორგანიზაციებში, რომელთა მიერ მომზადებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნითაც სამინისტრო კვლავ ითანამშრომლებს ამ ორგანოებთან სამინისტროში არსებული სიტუაციის გაუმჯობესებისა და ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამასთან, კვლავ გააგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოებისა თუ ექსპერტების მიერ საქართველოში დაგეგმილ ვიზიტებთან დაკავშირებით, მიიღებს მათში აქტიურ მონაწილეობას და უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციის მიწოდებას საერთაშორისო ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის კუთხით.